ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N05/2019 27.02.2019

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის უფროსს,
პირველადი ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

მოგმართავთ სათემო ამბულატორიული ფსიქიატრიული მომსახურების ტერიტორიულ განაწილებასთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით ხაშურის მინიციპალიტეტის მომსახურებას შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (სურამის) ამბულატორია ახორციელებს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შპს „გორმედის“ ფსიქიატრიული ამბულატორიისთვის გაგზავნილ ხელშეკრულებაში, რომელსაც 2019 წლის პროგრამით მხოლოდ გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების მომსახურება ევალება, ასევე მითითებულია ხაშურის მუნიციპალიტეტიც.

თუ შპს. „გორმედთან“ ხელშეკრულება ამ პირობით გაფორმდება, კერძოდ, მას დაევალება, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტსაც უნდა მოემსახუროს, ეს გამოიწვევს როგორც შპს „გორმედის“, ასევე შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (სურამის) ამბულატორიების დაფინანსების მნიშვენლოვან ცვლილებებს და გავლენას იქონიებს მომსახურების ხარისხსა და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე.

გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული ვითარება და მიიღოთ ზომები, რომ სათემო ამბულატორიულ ფსიქიატრიულ სერვისებს ხელშეკრულებები 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად გაუფორმდეთ.

პატივისცემით,

ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოების თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com